ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 20 აპრილი, 2012 წელი

საკონკურსო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 19 მარტს გამოცხადებულ N371 კონკურსზე, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე	/ნიკოლოზ ვაჩეიშვილი/
კომისიის წევრი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	/გიორგი ნაკაშიძე/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 11.05.2012 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - გენერალური დირექტორი;
პაატა გაფრინდაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთ.მენეჯერი;
ნიკოლოზ ანთიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - იურიდიული სამსახურის მენეჯერი;
გიორგი ნაკაშიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის მთ.მენეჯერი;
გიგლა ჭანუყვაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთ.კოორდინატორი;
ნინო ნოზაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფ.კოორდინატორი;
გიორგი მისრიაშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფ.კოორდინატორი;
გუგა გოგაძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის მთ.კოორდინატორი.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2012 წლის 19 მარტს გამოცხადებული N371 კონკურსის შედეგების განხილვა

კომისიამ მოისმინა:

ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგების განხილვა

აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე ერთი კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება:

- შპს „ართ ბილდინგ"

- კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, საკონკურსო წინადადების ფასი - 13899,60 ლარი.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტები შედგება კონკურსის პირობებით გათვალისწინებული რამდენიმე ქვეთავისაგან.

ნაგებობის დაზიანებების და არსებული მდგომარეობის შეფასების ნაწილი წარმოდგენილია საკმარისად ვრცლად და შეიცავს ყველა საჭირო ცნობას ნაგებობის მდგომარეობისა და დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესახებ. ასევე წარმოდგენილია: შენობის კონსტრუქციული და ტექნიკურიმ დგომარეობის შეფასება; სახელოვნებათმცოდნეო მიმოხილვა; გრაფიკული და არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა.

კონკურსანტის მიერ მკაფიოდაა განსაზღვრული სამომავლოდ ჩასატარებელი კვლევითი სამუშაოების მეთოდოლოგია და რეაბილიტაციისა და შენობის გაჯანსაღებისთვის აუცილებელი ღონისძიებები.

მოცემული საკონკურსო წინადადება წარმოდგენილია სრულყოფილად.

- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის შესრულებული, კომისიის გადაწყვეტილებით მიეცა დადებითი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი მომხრეა მიღებული იქნას კონკურსანტის - შპს „ართ ბილდინგ"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის - შპს „ართ ბილდინგ"-ის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ართ ბილდინგ".

3. ეთხოვოს შპს „ართ ბილდინგ"-ს საკონკურსო განცხადების 12 მუხლის შესაბამისად წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადები 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას;

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - „გამარჯვებული გამოვლენილია";

4. ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება;

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტს.

კომისიის თავმჯდომარე	/ნიკოლოზ ვაჩეიშვილი/
კომისიის წევრი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	/გიორგი ნაკაშიძე/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/08/2/484 "11" 05 2012წ.

შპს „ართ ბილდინგ"-ის დირექტორს
თამარ ითაშვილს

მის: ქ.თბილისი, მე-3 მელაანის შეს N58

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურზე (განცხადების N371, გამოცხადების თარიღი 19.03.2012წ.) გამოვლინდით გამარჯვებულად.

გთხოვთ, წარმოადგინოთ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 13899,60 ლარის 5%–ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას და მობრძანდეთ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ში არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების გასაფორმებლად მისამართზე: ქ.თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

პატივისცემით,

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. (+995 32) 93 24 11, 93 23 94
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Tel.(+995 32) 93 24 11, 93 23 94

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს
მიერ ნ.ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) II კორპუსის
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე
2012 წლის 19 მარტს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების # 371)
წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

#	კონკურსანტის დასახელება	დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო	ხელმოწერა
1	ქქ „ახალ ბილდინგ	19.04.2012 16:00	თამარ ითაშვილი
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			

საკონკურსო აპარატის წევრი
გ.გოგაძე

17-20 აპრილი **2012** წელი

საგადახდო დავალება N 1
12 აპრილი 2012

ოპერ 16335

132BDE14

გადამხდელი	შპს ართ ბილდინგი, 406044748		
		გადამხდელის ანგარიში	GE82BR0000010662060560
გადამხდელის ბანკი	ქ.თბილისი, სს ბანკი "რესპუბლიკა"	**ბანკის კოდი**	REPLGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება	შპს ართ ბილდინგი
საიდენტიფიკაციო კოდი	406044748

მიმღები	ს.ს.ი.პ. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		
		მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი	GE52BR0000010591718543
მიმღების ბანკი / ხაზინა	ქ.თბილისი, სს ბანკი "რესპუბლიკა"	**ბანკის კოდი**	REPLGE22

გადახდის დანიშნულება	კონკურსანტი ართ ბილდინგი (ს.კ 406044748) შემსყიდველი სსიპ საქართველო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (ს.კ 204562311)
დამატებითი ინფორმაცია	საკონკურსო წინადადების N 371 ფასსანაზღ. N 1 თარიღი 12.04.12
ხელმოწერები	

თანხა

50.00 GEL

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი	**12.04.12**
გატარებულია ბანკის მიერ	**12.04.12**

ბუღალტერა

ART BUILDING 406044748 GEORGIA "ART BUILDING" LTD

BANK REPUBLIC SADGURI BRANCH CODE REPLGE22

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☑ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
SOCIETE GENERALE GROUP

161822/09/13
17.04.2012

საბანკო გარანტია

ვითვალისწინებით რა, რომ შპს "ართ ბილდინგი" (ს/კ 406044748) (შემდგომში "პრეტენდენტი") მზად არის წარმოადგინოს თავისი საკონკურსო წინადადება სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" სატენდერო კომისიის მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების (ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ჩვენ სს ბანკი "რესპუბლიკა" (შემდგომში "ბანკი")

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ , რ ო მ

ვიღებთ ვალდებულებას სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" (შემდგომში "შემსყიდველი") წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველვყოფთ შემსყიდველისათვის 140 (ას ორმოცი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ საკონკურსო წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე, თავისი საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;

2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4. თუ პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ იქნება წარმოდგენილი ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია.

გარანტია ძალაში რჩება 2012 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის (შემთხვევების) დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

მაია სიჭინავა
კომერციული დირექტორის რწმუნებული პირი

გიორგი სულამანიძე
ცენტრალური ბექ ოფისის სამსახურის უფროსი

Bank Republic
2 Gr. Abashidze Street
Tbilisi, 0179
Georgia

tel: (995 32) 925 555
fax: (995 32) 925 544
E-mail: info@republic.ge
www.republic.ge

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ნ.ვაჩნაძის სალ-მუზეუმის II კორპუსი

ART BUILDING
406044748
GEORGIA, "ART BUILDING"

შ.პ.ს. „ართ ბილდინგი„

დანართი №1

ტექნიკური დავალების დანართი

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შ.პ.ს. „ართ ბილდინგი„

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: თამარ ითაშვილი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: თბილისი. მე-3 მელაანის შეს. №58

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: თბილისი. მე-3 მელაანის შეს. №58

საიდენტიფიკაციო კოდი: 406044748

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: მობ. 555 19 70 78

ელექტრონული მისამართი: **Tamaritashvili@gmail.com**

ბანკის კოდი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა" **REPLG22**

ანგარიშსწორების ანგარიში: **GE82BR0000010662060560**

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 13899,60
(ცამეტიათასრვასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 60 თეთრი)

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 2012 წლის 20 მაისის ჩათვლით

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:

ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით

5. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: 30%

შ.პ.ს. „ართ ბილდინგი"-ს

დირექტორი

თამარ ითაშვილი

შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი:

1. ქ.თბილისის ლესელიძის ქ. №36-ში მდებარე შენობის (ყოფილი ქარვასლა) არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი.
2. ქ.თბილისის ავლევის ქ. № 19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი.
3. ქ. ფოთის საკათედრო ტაძრის საპროექტო სამუშაოები.
4. დუშეთის რაიონის სოფ. ახატანის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია XIII–XIV სს. საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები.
5. ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფასადის არქიტექტურულ - -არქეოლოგიური ანაზომი.
6. წალკა, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია X ს. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო–სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის თანავტორი.
7. ატენის წმინდა გიორგის ეკლესია XI ს. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის თანავტორი.
8. სხალტბის კვირაცხოვლის ეკლესია XVII ს. არქიტექტურულ- -არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის თანავტორი.
9. ქ.თბილისის ლესელიძის ქ. №36-ში მდებარე შენობის (ყოფილი ქარვასლა) რესტავრაციის პროექტი. პროექტის თანაავტორი.
10. სასტუმრო ვეცელი არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის თანავტორი.
11. ბოლნისის სიონი V ს. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, VIII ს-ის საძვალე სამლოცველოს რესტავრაციის პროექტი. პროექტის ავტორი..

12. აკაურთას ეკლესია Vს. დროებითი გადახურვის პროექტი. პროექტის ავტორი.

13. ზემო ნიჩბისის ეკლესია XVII–XVIII სს. არქიტექტურულ-
-არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის ავტორი.

14. ახატანის მცირე ეკლესია XVII–XVIII სს. . არქიტექტურულ-
-არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის ავტორი.

15. წინამძღვრიშვილის №39 საცხოვრებელი სახლის კარის და აივნის რესტავრაციის პროექტი.

16. სასხორის ღვთისმშობლის ეკლესია. (მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი). Xს.

17. იოანე მახარებლის სახ. ეკლესია. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი XVIIIს.

18. ნაბახტევის ღვთისმსშობლის სახ. ეკლესია რესტავრაციის პროექტი პროექტის ავტორი.

19. ბზიანის კომპლექსი. რესტავრაციის პროექტი. პროექტის ავტორი.

20. გელათის წმ ნიკოლოზის და სამრეკლოს რესტავრაციის პროექტი.

21. ალექსეევკას (დრიანეთის) წმ. ივლიტას და კვირიკეს ეკლესია

22. გამოჩინებულის წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლო

23. ხირსის მონასტრის ტერიტორიაზე მდებარე სახლის რესტავრაციის პროექტი

შ.პ.ს. „ართ ბილდინგი“-ს დირექტორი

არქიტექტორ-რესტავარტორი

თამარ ითაშვილი

ჩამონათვალი

1. არქიტექტორ-რესტავრატორის რეკომენდაცია;
2. ხელოვნებათმცოდნის რეკომენდაცია;
3. კონსტრუქტორის რეკომენდაცია;
4. გენ-გეგამა;
5. გეგმა (I სართული);
6. გეგმა (II სართული);
7. არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა;
8. საპროექტო სამუშაოათა კალენდარული გეგმა-გრაფიკი;
9. სარეაბილიტაციო პროექტირების ხარჯთაღრიცხვა

ART BUILDING
406044748
GEORGIA, "ART BUILDING" LTD

ნ. ვაჩნაძის სახლმუზეუმის II კორპუსი (საექსპოზიციო დარბაზი)

არქიტექტორ–რესტავარატორის რეკომენდაცია

ცნობილი კინომსახიობის ნატო ვაჩნაძე-ანდრონიკაშვილის სახლ-მუზეუმი მის მამისეულ სახლშია განთავსებული. ანდრონიკაშვილების "სასახლე" გურჯაანში ე.წ. ბეზარაანთ უბანში მდებარეობს. მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია მსახიობისა და მისი ოჯახის წევრთა მემორიალური ნივთები.

სახლ-მუზეუმის ფართო ეზო ორ ნაგებობას–ძველ, ორსართულიან აგურის სასახლეს და გვიანდელ ე.წ საექსპოზიციო დარბაზს აერთიანებს.

საექსპოზიციო დარბაზი წარმოადგენს ორსართულიან (11X21 მ.) ნაგებობას ორ მხარეს გახსნილი ღია ხის ავნით. I სართულზე განთავსებულია კინოდარბაზი, საპროექციო და საქვაბე, ხოლო II სართული შედგება სამი ერთმანეთში გამავალი ოთახისგან, სადაც ექსპონირებულია ნ. ვაჩნაძის შემოქმედების ამსახველი ფოტოები.

საექსპოზიციო დარბაზი საკმაოდ დაზიანებულია: სახურავიდან ჩადის წყალი; დაბზარული, დაობებული და დანესტიანებულია კედლები სადაც ხდება წყლის სისტემატიური ჩასვლა(ნესტისგან დამძიმებული სუნი შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა); მორყეულია ხის აივნები; დამპალია იატაკის და მოაჯირების დიდი ნაწილი; ამორტიზირებულია კრამიტის სახურავი და სახურავის ხის კონსტრუქცია; გარკვეული დაზიანებები აღინიშნება აივნის ქვეშ მდებარე აგურის სვეტებზეც.

დაზიანების გამომწვევი მიზეზები:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შენობა მძიმე მდგომარეობაშია და დაზიანებების გამომწვევი მიზეზი ატმოსფერული ნალექების ზეგავლენა და მოუვლელობაა. ამორტიზირებული სახურავიდან ინტერიერში სისტემატურად ჩადის წყალი რაც აზიანებს და აობებს კედლებს.

საპროექტო–სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია და რეკომენდაცია

საჭიროა ნაგებობის დეტალური არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი ლოკალური დაზიანებების დატანით. უნდა მოხდეს ძეგლი დეტალური ციფრული ფოტოფიქსაცია. ნაგებობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე კონსტრუქტორთან და სხვა სპეციალისტებთან შეთანხმებით მოხდეს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. რეაბილიტაციის დროს მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს ავთენტური ნაწილები და გაჯანსაღდეს ნაგებობა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და საკვლევი საფიქსაციო დოკუნეტაციის შექმნა, საფუძლად დაედება შენობის გადაუდებელი ფიზიკური სამუშაოების განხორციელებას.

შენობის რეაბილიტაციისთვის ჩასატარებელია შემდეგი სამუშაოები:

1. რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს ხის მსუბუქად დაზიანებულ დეტალებს, ხოლო დაკარგული და ძლიერად დაზიანებული (მოაჯირის, აივნის ზედა ნაწილების ხის ჭვირული ელემენტების და სვეტები) უნდა შეიცვალოს ხის ახალი ნაკეთობით, რომლებიც უნდა დამზადდეს არსებულის ანალოგიურად;
2. შენობის სახურავზე კრამიტის საფარი მთლიანად გადასაწყობია: არსებული კრამიტი უნდა მოიხსნას გადაირჩეს დაზიანებული კრამიტისგან, გაიწმინდოს და ახლიდან მოეწყოს ხის კონსტრუქციაზე;
3. სახურავის ხის არსებული კონსტრუქცია უნდა შეკეთდეს და გაჯანსაღდეს ახალი ხის მასალით;
4. დაზიანებულია ასევე აივნის იატაკი, რომლის გარკვეული ნაწილი უნდა შეიცვალოს;
5. პირველ სართულზე საჭირო იქნება აგურის იატაკის გადაწყობა და დაკარგული ნაწილის ახლით შევსება;
6. დაბზარული კედლებიდან საჭირო იქნება ნალესობის ჩამოხსნა და ხელახლა შებათქაშება;
7. აივნის ქვეშ მდებარე აგურის სვეტებიდან ჩამოცვენილია ბათქაში, რომელიც საჭიროებს ხელახლა შებათქაშებას ასევე, დაზიანებულია ცოკოლის დიდი ნაწილი და საჭიროებს აღდგენას;
8. რაც შეეხება კინოდარბაზს მთლიანად მოსახსნელია კედლებიდან ხის შეფიცრული ნაწილი, ჭერიდან მოსახსნელია ნაჭრისგან მოწყობილი დაკიდული ჭერი.
9. უნდა მოეწყოს თანმედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული კინოდარბაზი, თავისი საპროექციო ოთახით.
10. უნდა დამონტაჟდეს გათბობის, ვენტილაციის და კონდიცირების სისტემები.

"ART BUILDING" LTD * "ART BUILDING" LTD * GEORGIA 206044748 * საქართველო, შპს "ART BUILDING"

რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოებისა თუ აქივობების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 200 000 ლარს

ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის II კორპუსის (საექსპოზიციო დარბაზი)

კონსტრუქციული შეფასება

საექსპოზიციო დარბაზი წარმოადგენს ორ სართულიან (11 X 21 მ.) ნაგებობას ორ მხარეს გახსნილი ღია ხის ავნით. I სართულზე განთავსებულია კინოდარბაზი, საპროექციო და საქვაბე. II სართული შედგება სამი ერთმანეთში გამავალი ოთახისგან. კედლები ნაშენია ყორე ქვისგან ადგილებში აგურის ჩანართებით. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზეა. ასევე კრამიტის სახურავიც ხის კონსტრუქციაზეა მოწყობილი.

შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

ბზარები შეინიშნება: სამხრეთ-აღმოსავლეთით, საქვაბის ოთახის შესასვლელის კუთხეში; მეორე სართულის ზღუდარების კედელზე დაყრდნობის ადგილებში და ალაგ–ალაგ კედლების ნალესობაში; ეს ბზარები გამოწვეული უნდა იყოს ხშირი სეისმური მოვლენებისა და სახურავიდან ჩანაყონი წყლის ზემოქმედების შედეგად; ნალექების შედეგად ასევე დაზიანებულია აივნის ხის ელემენტები, შესაძლოა დაზიანებული იყოს ხის კოჭების აგურის სვეტებთან დაყრდნობის ადგილებიც; საძირკვლების ჯდენა არ შეინიშნება. ზემოაღნიშნული დაზიანებები შენობის მდგრადობაზე რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს, მათ აღმოსაფხვრელად საკმარისი იქნება მცირე ჩარევები. ვინაიდან შენობაზე არ აღინიშნება საძირკვლების ჯდენა და ბზარებიც გამოწვეულია სახურავიდან ჩამონაყონი წყლის შედეგად. გეოლოგიური კვლევის აუცილებლობა არ არის.

კრამიტის საფარის 80% გამოსაცვლელია.

კონსტრუქტორი: ზურა გაჩეჩილაძე

ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი II კორპუსი (საექსპოზიციო დარბაზი)

XX საუკუნის ცნობილი ქართველი კინომსახიობის, ნატო ვაჩნაძე-ანდრონიკაშვილის სახლ-მუზეუმი ქ. გურჯაანში ე.წ. ბეზარაანთ უბანში მდებარეობს. სახლ-მუზეუმის კომპლექსი XIX საუკუნის ბოლოს აგებულ ორსართულიან აგურის სასახლესა და შედარებით გვიანდელ, სასახლის არქიტექტურულ ტიპთან მიახლოვებულ ნაგებობას აერთიანებს. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს, სადაც მუზეუმის II კორპუსის საექსპოზიციო დარბაზი განთავსდება.

გეგმით მარტივი სწორკუთხედის ფორმის, გარემოსადმი აივნებით გახსნილი შენობის ძირითადი მოცულობა ორსართულიანია, თუმც არსებულ რელიეფს მორგებული ნაგებობა უკანა განივ ფასადზე ერთსართლიანი ფორმით გადის, გვერდითა ფასადზე კი მაღალ ნახევარსარდაფს იკეთებს, რომელიც, რეალურად, დამოუკიდებელი სართულის როლს ასრულებს.

კახეთის რეგიონისთვის დამახასითებელი სამშენებლო ტრადიციის მსგავსად, შენობა აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობითაა ნაგები. ორ-ორი წყება ქართული აგურის რეგულარულად დატანილი სარტყლებისა და გათლილი რიყის ქვის ბრტყლად დადებული სიბრტყეების მონაცვლეობით შექმნილ წყობას საკმაოდ მოწესრიგებული სახე აქვს. რიყის ქვის ზედაპირზე მკაფიოდ იკითხება აგურის სხვადასხვა წყობის რიგები – კარნიზი, სარტყლები, კარ-სარკმელთა ღიობებს შემოწყობილი საპირეები, ნაგებობის კუთხეებზე აყოლილი ჰორიზონტალურად დაწყობილი აგურის რიგები და სხვა. ამგვარად, კედლის წყობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნაგებობის მხატვრულ სახეს. თუმც შენობის მთავარ სამშვენისს, რა თქმა უნდა, მაინც ხის ჭვირულორნამენტიანი აივანი წარმოადგენს.

სწორკუთხა ბურჯების რიგს დაყრდნობილი ხის მოხარატებული ფართო აივანი შენობის ორ ძირითად ფასადს (აღმოსავლეთისას და სამხრეთისას) გასდევს მთელს სიგრძეზე. აივნის აფრების ჭვირული კვეთა ზოგადი ხასიათის სტილიზებულ მცენარეულ მოტივზეა აგებული. ჭვირულორნამენტული თაღედითა და ხეზე კვეთილი მოაჯირით შემკული აივანი კახური

საცხოვრებელი სახლის ტრადიციას მისდევს, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის მეორე ნახევარში კახეთში ჩამოყალიბებული, ჩვეულებრივ საცხოვრისზე უფრო იმპოზანტური იერის მქონე ე.წ. სასახლის ტიპის ნაგებობებს გვახსენებს; ამით იგი, ერთი მხრივ, მის მახლობლად მდგარ ანდრონიკაშვილების საგვარეულო შენობასთან ქმნის მხატვრულ-არქიტექტურულ გადაძახილს, რითაც ერთგვარ ანსამბლურობას ინარჩუნებს, მეორე მხრივ კი XIX საუკუნის კახური ურბანული არქიტექტურისათვის ტიპურ ნიმუშს გვთავაზობს.

დამოუკიდებელი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების მიუხედავად, მოცემული ნაგებობა ერთიანი არქიტექტურული ანსამბლის ნაწილს წარმოადგენს. ამდენად, ხსენებული ნაგებობის თვისობივი მახასიათებლები თუ მნიშვნელობა ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის ანსამბლის საერთო კონტექტსში უნდა იქნეს განხილული.

ხელოვნებათმცოდნე: ქრისტინე დარჩია



GEORGIA, "ART BUILDING"
40604448

ბურჯაანის მუნიციპალიტეტი

ნ.ფაჩნაძის სახლ-მუზეუმი(II კორპუსი)

I სართულის გეგმა

მ. 1:100



ბურჯაანის მუნიციპალიტეტი

ნ.ზაჩნაძის სახლ-მუზეუმი(II ეტაპი)

II სართულის გეგმა

მ. 1:100



გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ნ.ვაჩაძის სახლ-მუზეუმის IIკორპუსი

(არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა)

სამხრეთ-აღმოსავლეთი ფასადი

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ნ.ვაჩაძის სახლ-მუზეუმის IIკორპუსი

(არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა)

სამხრეთ-დასავლეთი ფასადი

ART BUILDING
406044748
"BUILDING" LTD

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ნ.ვაჩაძის სახლ-მუზეუმის IIკორპუსი

(არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა)

ჩრდილო-დასავლეთის ფასადი

ART BUILDING 0604 "ART"

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ნ.ვაჩაძის სახლ-მუზეუმის IIკორპუსი

(არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა)

ინტერიერი.(II სართული)

ინტერიერი.(IIსართული)

ინტერიერი.(I სართული)საპროექციო

ინტერიერი.(II სართული)

ინტერიერი.(I სართული)კინოდარბაზი

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ნ.ვაჩაძის სახლ-მუზეუმის IIკორპუსი

(არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა)

აივანი.(II სართული)

აივანი.(II სართული)

ბურჯაანის მუნიციპალიტეტი, ნ. ვაჩნაძის სახლმუზეუმის II კორპუსის სარეაბილიტაციო პროექტირების ხარჯთაღრიცხვა

№	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
1	განმარტებითი ბარათი	150,00
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა	200,00
3	ტოპოგრაფიული გეგმა	375,00
4	ფოტოფიქსაცია	300,00
5	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები	3750,00
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა	375,00
7	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება	150,00
8	სახელოვნებადმცოდნეო კვლევა	625,00
9	არქიტექტურული ნაწილი	3375,00
10	კონსტრუქციული ნაწილი	875,00
11	გათბობა,ვენტილაცია,კონდიცირების პროექტი	900,00
12	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი	375,00
13	ჩასაატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა	250,00
	ჯამი	11700,00
	ზედნადები 10 %	1170,00
	ჯამი	12870,00
	გეგმიური დაგროვება 8 %	1029,60
	სულ	13899,60

სულ: 13899,60 ლარი (ცამეტიათასრვასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და სამოცი თეთრი)

ART BUILDING 206044748

ბურჯაანის მუნიციპალიტეტი, ნ. ვაჩნაძის სახლმუზეუმის II კორპუსის სარეაბილიტაციო პროექტირების ხარჯთაღრიცხვა

I ეტაპი

№	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
1	განმარტებითი ბარათი	150,00
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა	200,00
3	ტოპოგრაფიული გეგმა	375,00
4	ფოტოფიქსაცია	300,00
5	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები	3750,00
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა	375,00
7	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება	150,00
8	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	625,00
	ჯამი	5925,00
	ზედნადები 10 %	592,50
	ჯამი	6517,50
	გეგმიური დაბრუნება 8 %	521,40
	სულ	7038,90

სულ: 7038,90 ლარი (შვიდიათასოცდათვრამეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი)

ბურჯაანის მუნიციპალიტეტი, ნ. ვაჩნაძის სახლმუზეუმის II კორპუსის სარეაბილიტაციო პროექტირების ხარჯთაღრიცხვა

II ეტაპი

№	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
1	არქიტექტურული ნაწილი	3375,00
2	კონსტრუქციული ნაწილი	875,00
3	გათბობა,ვენტილაცია,კონდიცირების პროექტი	900,00
4	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი	375,00
5	ჩასაატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა	250,00
	ჯამი	5775,00
	ზედნადები 10 %	577,50
	ჯამი	6352,50
	გეგმიური დაგროვება 8 %	508,20
	სულ	6860,70

სულ: 6860, 70ლარი (ექვსიათასრვასსამოცი ლარი და სამოცდაათი თეთრი)

ბურჯაანის მუნიციპალიტეტი, ნ. ვაჩნაძის სახლმუზეუმის II კორპუსის საპროექტო სამუშაოთა კალენდარული

გეგმა-გრაფიკი

№	სამუშაოთა დასახელება	I ეტაპი (14.05.12– 11.06.12)			
		I თვე			II თვე
		I კვირა	II კვირა	III კვირა	I კვირა
1	განმარტებითი ბარათი				
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა				
3	ტოპოგრაფიული გეგმა				
4	ფოტოფიქსაცია				
5	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები				
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა				
7	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება				
8	სახელოვნებადმცოდნეო კვლევა				

№	სამუშაოთა დასახელება	II ეტაპი (12.06.12– 29.06.12)		
		II თვე		
		II კვირა	III კვირა	IVკვირა
1	არქიტექტურული ნაწილი			
2	კონსტრუქციული ნაწილი			
3	გათბობა,ვენტილაცია,კონდიცირების პროექტი			
4	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი			
5	ჩასაატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა			
6	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის საღრიცხვო ბარათი და პასპორტი			

სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები.

შეთავაზებული თანამდებობა:	მშენებლობის ორგანიზაციის სპეციალისტი.
ფირმის დასახელება:	შ.პ.ს. "თბილქალაქპროექტი" ტერიტორიათა განვითარების სააგენტო.
სახელი გვარი	ბელა გოგოლაური
პროფესია	ინჟინერ-მშენებელი
დაბადების თარიღი	14 ნოემბერი 1957 წელი
ფირმაში/ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	32 წელი
ეროვნება	ოსი
პროფესიული გაერთიანების წევრი	
მოვალეობის დეტალური აღწერა	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტირება.
ძირითადი კვალიფ:	წამკვანი სპეციალისტი
განათლება: 1974-1979წწ	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამშენებლო ფაკულტეტი

შესრულებული ძირითადი სამუშაოები

1. ს.ს. "თიბისი" ბანკი-მარჯანიშვილის ქ. №7 შენობის რეკონსტრუქციის პროექტი
2. ბამბის რიგი №7 შენობის რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტი
3. თეატრი "ვერიკო"
4. საცურაო აუზი საჩხერეში
5. მრავალბინიანი საზოგადოებრივ-საცხოვრებელი სახლი ონაშვილის ქ-ზე
6. მრავალბინიანი საზოგადოებრივ-საცხოვრებელი სახლი გურამიშვილის გამ-ზე
7. საზოგადოებრივ-საცხოვრებელი კომპლექსი ვაჟა-ფშაველას 71-ში
8. საცხოვრებელი კომპლექსი "ვაკე-პალასი" ბაგებში
9. დასასვენებელ კომპლექს "ანდამატის" სასტუმრო გრიგოლეთში.
10. ამხანაგობა "ბათუმი"-ს მრავალფუნქციური საც. კომპლექსი ქ. ბათუმში პუშკინის ქუჩაზე.

ენები:	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად
რუსული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
ინგლისური	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება:

ხელისმომწერით ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს კვალიფიკაციას და გამოცდილებას.

სპეციალისტი ბელა გოგოლაური 09.04.2012

ნოდარ ყავლაშვილი
მუხრანის ქ. 21, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 93 185188
ელ. ფოსტა: noka57@mail.ru

განათლება
1974-1979 მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგრამეტრიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი. სადიპლომო ნაშრომი თემაზე: ფიზიკის, გეოდეზიის, აეროფოტოგრამეტრიისა და კარტოგრაფიის მათემატიკური ასპექტები

1986-1987 ტაშკენტის უცხო ენათა ინსტიტუტი. პორტუგალიური ენის თარჯიმანი და პედაგოგი. სადიპლომო ნაშრომი თემაზე: პორტუგალიური ენის გრამატიკა, ისტორია და ლიტერატურა

სამუშაო გამოცდილება:
06/2006-დღემდე გეოდეზი. შპს. ვესტა

1/1991-06/2006 გეოდეზიის ინჟინერი, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტი. მიწათმზომელი

06/1979- 06/2006 გეოდეზიის უფროსი პედაგოგი. თბილისის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი

04/2001-04/2003 გეოდეზიის პედაგოგი. SIDA-სა და შვედეთის გეოდეზიის ერთობლივი პროექტი

05/1988-12/1990 უფროსი მრჩეველი. ანგოლის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი ლუანდაში.

09/1994-09/2004 უფროსი გეოდეზი GPS Trimble 4000-ში. UNAVCO-სა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი

ექსპერტიზა
გეოდეზიის პირველადი მომწოდებელი
GPS Trimble 4000

კომპიუტერული უნარები: ACAD, AUTODESC Land DESCTOP,
Windows 2000/XP, IIS, NET სერვერები, აგრეთვე SQL, PL/SQL

ჯილდოები და სიგელები: ანგოლის, ლაუანდის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის საპატიო დიპლომი - 1990

პირადი მონაცემები: საქართველოს მოქალაქე. ენები: რუსული, პორტუგალიური, ინგლისური სრულყოფილად. ჰობი: მოგზაურობა, ალპინისტობა, ლიტერატურა, ფოტოგრაფია, მუსიკა, სპორტი.

ვიტალი ნაზაროვი

ხმელინსკის ქუჩა 44 "ა",
საქართველო
0136 თბილისი
ტელ: (995 32) 79 10 76
მობ: (995 93) 39 31 55
ელ.ფოსტა: vivanazarone@mail.ru

პირადი ინფორმაცია

- ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
- სქესი: მამრობითი
- დაბადების თარიღი: 27.05.1951
- დაბადების ადგილი: თბილისი

განათლება

1973-1980 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

სამრეწველო და ქალაქგეგმარებითი მშენებლობის ფაკულტეტი
ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია **1980**

მაგისტრის ხარისხი ქალაქ-გეგმარებით მშენებლობაში.

თელავის ღვინის ქარხნის პროექტირება, ხარჯთაღრიცხვა, არქიტექტურა ვენტილაცია

მუშაობის გამოცდილება

შპს "ტოპ" - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები
ქალაქგეგმარებითი ინჟნერია () – "კარიტას საქართველო" **2004-**დღემდე
დაგეგმარებისა და ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი **1989-2004**
"სპეცრემდიზაინმშენი"
დაგეგმარებისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის უფროსი **1980-1989**
სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების საბჭოში
კულტურის სამინისტროში
ქალაქგეგმარებითი ინჟინერიის სამშენებლო დეპარტამენტში 1975-1980
ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტი და მრჩეველი
სამშენებლო საქმიანობაში

შესრულებული სამუშაოები

- ჯარიტასის ახალგაზრტული ცენტი
- სარემონტო სამუშაოები ისტორიული ძეგლები: იყალთოს მონასტერი, უბისის მონასტერი, სომხური ჯათედრალი თბილისში, ვარძიის ისტორიული კომპლექსი
- მიწისძვრით დაზიანებული საბავშვო ბაღებისა და სკოლების ზედამხედველობა
- ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენითი სამუშაოები, ფასადის მოპირკეთება
- სამხატვრო აკადემიის აღდგენითი სამუშაოები
- რუსთაველის თეატრის სრული რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- სახელმწიფო კონსერვატორიის რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია
- ქუთაისში კალათბურთის სპორტული კომპლექსის ხარჯთაღრიცხვა
- საცურაო აუზების და სპორტული დარბაზების ხარჯთაღრიცხვა: გურჯაანი, საგარეჯო, მესტა, ლანჩხუთი, ჭიათურა
- სასტუმრო გუდაურში

ენები

- ქართული – კარგად
- რუსული – კარგად
- სომხური – კარგად
- რუსული – კარგად
- ინგლისური – საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

- Microsoft Excel, Microsoft Word
- Archicad.

C.V.

სახელი, გვარი:	ზურაბ გაჩეჩილაძე.
დაბადების თარიღი:	1940წლის 15 ივნისი.
დაბადების ადგილი:	საქართველო. ქ. თბილისი
მოქალაქეობა:	საქართველის მოქალაქე.
მისამართი:	ქ. თბილისი. ნუცუბიძის პლატო II მრ. Iკვ I კორპ. ბინა 66
ოჯახური მდგომარეობა:	მეუღლე და ორი შვილი.
განათლება:	საქართველოს პოლიტექნ. ინსტიტუტი სპეციალობა – ინჟინერ-მშენებელი.

პროფესიული გამოცდილება:

1968-1978წწ. – საქ.ქალაქ.მშენ.პროექტი - მთავარი ინჟინერი.
1978წ.-დან დღემდე ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრის დირექტორი.

მონაწილეობა აქვს მიღებული ქვემოთ ჩამოთვლილი ობიექტების პოროექტირებაში:
სამედიცინო ინსტიტუტის მთავარი კორპუსი, ონკოლოგიური საავადმყოფო, რესპუბლიკური საავადმყოფო, ს.პ.ე.-ის მაღლივი კორპუსები, უნივერსიტეტის კორპუსები და ბოლოს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მთავარი ინჟინერი.

ძეგლთა დაცვის სისტემაში გადმოსვლის შემდეგ რესტავრირებული აქვს: ვარძიის, საფარის, ჭულეს, ზარზმის სამონასტრო კომპლექსები. ჯვარის, წუღრუღაშენის, ბოლნისის სიონის ეკლესიები. თბილისის სამების ეკლესია. შატილის კომპლექსი, ხერთვისის ციხე, ბოდბის მონასტერი, მრავალძალის ისტორიული ნაწილი.

CURRICULUM VITAE

გვარი: დარჩია
სახელი: ქრისტინე
დაბადების თარიღი: 10. 11.1980
დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო
მისამართი: ლესელიძის ქ. №34
ტელ.: 0099532 98 24 52
მობილ.: 00995 99 74 01 09
ელ-ფოსტა: kdarchia@yahoo.com

განათლება:

2008 წლიდან: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დოქტორანტურის განყოფილება ხელოვნებათმცოდნის სპეციალობით. სადისერტაციო თემა: ”1920-იანი წლების ქართული ფერწერა. უცნობი ქალი მხატვრები”
2003 – 2006: აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასპირანტურის განყოფილება ხელოვნებათმცოდნის სპეციალობით. სადისერტაციო თემა: ”1920-იანი წლების ქართული ფერწერა. უცნობი ქალი მხატვრები”
1997 – 2003: აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა, სპეციალობა: ხელოვნებათმცოდნე. (დიპლომი წარჩინებით) სადიპლომო ნაშრომი: “ემა ლალაევა-ედიბერიძის შემოქმედება (1920-იანი წლების მხატვრობა)”
1986 – 1997: ქ. თბილისის მე-60-ე საშუალო სკოლა (წარჩინებით)

სემინარები:

- **International Co-operation in the Arts.“ Caucasus University. Tbilisi. Georgia 2002. The program is a member of ENCATC.** (სერტიფიკატი)

- **“The Sponsorship and Fandraising in the Arts”. Caucasus University. Tbilisi. Georgia 2002. The program is a member of ENCATC.** (სერტიფიკატი)

- ევროსაბჭოს კულტურის დეპარტამენტის, კულტურის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დირექტორატის მიერ ორგანიზებული, კვალიფიკაციის ასამაღლებელი, სამთვიანი სტაჟირება. 2006 წლის 25 სექტემბრი – 15 დეკემბერი (სერტიფიკატი)

- სემინარი თემაზე “თანამედროვე ურბანული არქიტექტურის განვითარების ძირითადი საკითხები”, კვიპროსის რესპუბლიკა, ქ. ნიქოზია, 2007

- ორეინინგი "კულტურული მემკვიდრეობის დაცვა", ქაიროს უნივერსიტეტი, ეგვიპტე. 8 – 20 ნოემბერი, 2007 (სერტიფიკატი)

- "მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საიტებისა და არქეოლოგიური საიტების მართვა (მენეჯმენტი)" ნორვეგია; ქალაქები: ტრომსო, ალტა, ოსლო; 2008

ენები:

ქართული: მშობლიური
რუსული: ძალიან კარგად
ინგლისური: კარგად
ფრანგული: ლექსიკონით

პროფესიული გამოცდილება:

2009-2012 წლის აპრილამდე: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, უფროსი კოორდინატორი;
2004-2009: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, უძრავ ძეგლთა, არქეოლოგიისა და დაცული ზონების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
2009: წინაქრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა საბჭოს წევრი;
2008 დღემდე: მონუმენტური სახვითი ხელოვნების საბჭოს წევრი;
2008: თანამშრომობა ჟურნალთან "ლიტერატურა და ხელოვნება";
2005: მონაწილეობა პროექტში: "ქ. თბილისის დაფარვითი ინვენტარიზაცია", ექსპერტი;
2000-2005: ახალგაზრდა მხატვართა გალერეა – "ძველი გალერეის" მენეჯერი (100-მდე გამოფენის, აქციისა და ლიტერატურული საღამოს ორგანიზატორი);
2005-2008: გაზეთი "კულტურა", კორესპონდენტი სახვითი ხელოვნების დარგში;
2001: თანამშრომობა ჟურნალთან "ქომაგი".

ა. პედაგოგიური საქმიანობა:

2005-2008: სწავლება ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და მულტიპლიკაციის ფაკულტეტებზე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (მსოფლიო ხელოვნების ისტორია)
2003-2004: თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი (მსოფლიო ხელოვნების ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია)
2004-2005: სწავლება რესტავრაციის ფაკულტეტზე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (ქართული მონუმენტური მხატვრობა)

ბ. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

2012: ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი "მოდერნიზმი კავკასიაში – თბილისი. ბაქო. ერევანი", ფლორენცია (იტალია);

2009: ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი ფლორენცია (იტალია);
2008: მონაწილეობა ვახტანგ ბერიძისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმში
მონაწილეობა პეტრე მელიქიშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი
2005: მონაწილეობა გ. ჩუბინაშვილის სახელობის სტუდენტთა და ასპირანტთა კონფერენციაში
2004: მონაწილეობა თბილისში გამართულ სტუდენტთა და ასპირანტთა მეორე სამეცნიერო კონფერენციაში
2004: მონაწილეობა თბილისში გამართულ სტუდენტთა და ასპირანტთა მესამე სამეცნიერო კონფერენციაში
2002: მონაწილეობა თბილისში გამართულ ექსპერიმენტული ტიპის კონფერენცია-დებატებში

<u>გ. საორგანიზაციო საქმიანობა:</u>

2008-2009: კოორდინატორი საქართველოსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტისა: კონფლიქტის შემდეგი გადაუდებელი ქმედება კულტურული გარემოსა და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური რევიტალიზაციისათვის გორის მუნიციპალიტეტში (საქართველო)
2008: ორგანიზატორი გამოფენის "1920-იანი წლების ქართული მხატვრობის უცნობი ფურცელი" (ვახტანგ ბერიძისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში)
2008: ქ. ბუქარესტში გამართული ნატო-ს სამიტის პარალელურად დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში გათვალისწინებული საქართველოს საპრეზენტაციო გამოფენის ორგანიზატორი
2003 – 2006: სამეცნიერო ჟურნალ "Academia"-ს კოორდინატორი (თბილისი)
2005: "თანამედროვე ქართული კულტურა და ხელოვნება", სტუდენტთა და ასპირანტთა მესამე სამეცნიერო კონფერენციის კურატორი

<u>სამეცნიერო სტატიები:</u>

1. **„კლარა კვეესის შემოქმედების ერთი ასპექტი (1920-იანი წლების ქართული მხატვრობა)“,** ვახტანგ ბერიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2009.
2. **„ნატურმორტი კლარა კვეესის შემოქმედებაში (1920-იანი წლების ქართული მხატვრობა)“,** პეტრე მელიქიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2009.
3. **„კუბო-ფუტურიზმის თავისებური ვერსია ემა ლალაევა-ედიბერიძის შემოქმედებაში“,** „სპექტრი“, თბილისი, 2006.

4 **„უცნობი მხატვრის – ემა ლალაევა ედიბერიძის შემოქმედების ზოგიერთი თავისებურება“**, „კავკასიის მაცნე“, თბილისი-პრაღა 2006.

5 **"Культурная жизнь Тифлиса 1910-1920-ых годов"**, "კავკასიის მაცნე", მოსკოვი, 2005.

6. **"ციტაციის მეთოდი თანამედროვე ქართულ მხატვრობაში მიხეილ შენგელიას შემოქმედების მაგალითზე"**, კრებულში: თანამედროვე ქართული კულტურა და ხელოვნება, სტუდენტთა და ასპირანტთა მეორე სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2004.

7. "ქალი მხატვრობაში. 1920-იანი წლების ფერწერა", კრებულში: თანამედროვე ქართული კულტურა და ხელოვნება, სტუდენტთა და ასპირანტთა მეორე სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2004.

2005 წლიდან დღემდე – აქტიურად მუშაობს ურბანისტიკის სფეროში, არის ავტორი არაერთი სახელოვნებათმცოდნეო კვლევისა, მათ შორის:

1. ქ. თბილისის ვერის სასაფლაოს ისტორიული კვლევა;
2. ქ. თბილისის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება;
3. ასათიანის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობების (№41, №43, №66) არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება;
4. დავით აღმაშენებლის გამზ. №166-ში მდებარე შენობის (ამჟამად გერმანიის საელჩო) არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება
5. შ. რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა-ნაგებობების (№14, №32, №38) არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება;
6. იაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობების (იაშვილის ქ. №16, №18) არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება;
7. ლესელიძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობების (ლესელიძის ქ. №34, 42) არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება;
8. ჩხეიძის ქ. №47-ში მდებარე შენობის არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება

სტიპენდია:

2006: "Heinrich boll"-ის ფონდის სტიპენდიანტი.
თემა: "ქალი მხატვრები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ხელოვნებაში, გენდერულ პრობლემატიკათა ჭრილში"

CV

ირაკლი კონსტანტინეს ძე ჩიკვაიძე

მისამართი	ქ. თბილისი გამსახურდიას გამზ. 1 კვ. კორპ. 6 ა, ბინა 22 ტელ. 237-50-62 მობილური 877 72-54-72
დაბადების ადგილი და თარიღი	ქ. თბილისი 7 ოქტომბერი 1947წელი
ეროვნება	ქართველი
ოჯახური მდგომარეობა	ცოლ-შვილიანი
განათლება	უმაღლესი

1954-1965წწ.	თბილისის № 1 საშუალო სკოლა
1965-1970წწ.	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეციალობა: "თბოაირმომარაგება და ვენტილაცია" კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი

სამუშაო ადგილები:

1970-1976წწ.	"საქქალაქმშენსახპროექტი" ინჟინერი, უფროსი ინჟინერი
1976-1977წწ.	"ჩრდილკავკასნავთობის" სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტი ჯგუფის უფროსი
1977-1982წწ.	საკომპლექსო საპროექტო განყოფილება "გიპროხორცი" ჯგუფის უფროსი
1982-1986წ.წ.	მივლინება საზღვარგარეთ ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშაობდა საქალაქო მშენებლობების დაპროექტებასა და საავტორო ზედამხედველობაზე.
1986-1987წწ.	დაბრუნდა საზღვარგარეთ მივლინებიდან უკან საკომპლექსო საპროექტო განყოფილება "გიპროხორც"-ში ძველ თანამდებობაზე (ჯგუფის უფროსი).

1987-1997წწ. საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტი "საქსახ-აგრომრეწვი".
ტექნოლოგიური განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საპროექტო განყოფილების უფროსის მოადგილე-პროექტის მთავარი ინჟინერი.
განთავისუფლდა ინსტიტუტის ლიკვიდაციასთან დაკავ-შირებით.

1997-2001წწ. კონცერნი " საქგვირაბმშენი"
სპეც. სამუშაოთა მენეჯერი.
განთავისუფლდა კონცერნის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

2001-2008წწ. კონცერნ " საქგვირაბმშენის" ლიკვიდაციის შემდეგ, აგრძ-ელებდა მუშაობას კონტრაქტის საფუძველზე ტურისტულ კომპლექს " ბაზალეთში " , ასრულებდა ყველა სანტექნიკური სამუშაოების: გათბობა-ვენტილაციის, კონდიცინირების სამუშაოების პროექტირებას და მონტაჟს.

2008-2009წწ. ამ პერიოდში ასრულებდა კონტრაქტების საფუძველზე ყველა საინჟინრო სამუშაოების პროექტირებისა და სამონ-ტაჟო სამუშაოთა მენეჯერ-კოორდინატორის მოვალეობას.
კერძოდ, შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

- საცხოვრებელი სახლების პროექტირება და მონტაჟი;
- საქართველოს რკინიგზის ახალი შენობის პროექტირება და მონტაჟი;
- ავერსის კლინიკების პროექტირება და მონტაჟი;
- საბავშვო და რესპუბლიკური ტუპერკულოზის საავად-მყოფოს პროექტირება და მონტაჟი;
- თბილისში და ბათუმში სასტუმროების ქსელის პროექ-ტირება და ა.შ.

2009-2010წწ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთავარი კოორდინატორი.

2011 წლის აპრილიდან შპს. "უნიმშენი" – სპეც. სამუშაოთა ექსპერტი.

კომპიუტერი	MICROSOFT VORD
ენები	მშობლიური – ქართული ლექსიკონით – ფრანგული კარგად - რუსული ინგლისური

-

ასრულებს არქიტექტურის და საკონსტრუქტორო სამუშაოების გარდა

საინჟინრო სამუშაოებს:

გათბობა-საქვაბე
ვენტილაცია-კონდიცირება
ელექტროობა
წყალ-კანალიზაცია
სუსტი დენები და კომპიუტერიზაცია
ტექნოლოგია
ლიფტები
ვერტიკალური გეგმარება
მშენებლობის ორგანიზაცია და ხარჯთაღრიცხვა

მელანო კვიციანი

ტელ: 2951995
599724266
მეუნარგიას ქუჩა №58
თბილისი, საქართველო
e-mail: kvitsianimeo@gmail.com

პირადი მონაცემები:

დაბადების თარიღი – 1976წ. 27 მაისი

დაბადების ადგილი - საქართველო, მესტიის რ-ნი

მოქალაქეობა - საქართველოს მოქალაქე

ოჯახური მდგომარეობა – დაოჯახებული

განათლება:

1995-1998 – ქ.თბილისის მოსე თოიძის სახ. სამხატვრო ლიცეუმი, მოდელირების ფაკულტეტი

2000-2006 - ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა - არქიტექტორ-რესტავრატორი

პროფესიული გამოცდილება:

2006 - ქ. თბილისის ლესელიძის ქ. №36-ში მდებარე შენობის (ყოფილი ქარვასლა) არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი. (შ.პ.ს. „აკრიანი")

2006 - წალკის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის არქეოლოგიური ანაზომი. (შ.პ.ს. „ნინო ნოზაძე")

2007 - ქ. ბათუმის ყოფილი არქიტექტორთა კავშირის შენობა. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი. (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კონპანია")

2007 - აღმაშენებლის №103 ყოფილი სასტუმრო ვეტცელი. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი და რესტავრაციის პროექტი. (შ.პ.ს. „აკრიანი")

2007 - ქ. თბილისი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის „თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია". არქიტექტურული ანაზომი (შ.პ.ს. „აკრიანი")

2007 – ახატანის მცირე ეკლესია. არქეოლოგიური ანაზომი. (შ.პ.ს. „ნინო ნოზაძე")

2007 – ნიჩბისის ეკლესია. არქეოლოგიური ანაზომი. (შ.პ.ს. „ნინო ნოზაძე")

2007 – წინანდალი. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის არქეოლოგიური ანაზომი. (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კონპანია")

2007 - 2008 – ძველი თბილისის რაიონის გამგეობის დაკვეთით, სოლოლაკში ასათიანის ქუჩაზე განთავსებული სახლების აზომვითი და საპროექტო სამუსშაოები. (შ.პ.ს. „ NOEMA +”)

2008 - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I-კორპუსის, არქიტექტურული ანაზომი. (შ.პ.ს. „აკრიანი”).

2008 – კოტორაანთ კარის მცირე ეკლესია, არქეოლოგიური ანაზომი.

2008 – ქ. ქუთაისი, ბაგრატის ტაძრის არქეოლოგიური ანაზომი. (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კონპანია”)

2008 – გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაჩნაძიანი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდას რესტავრაციის, კონსერვაციის და ადაპტაციის პროექტები. (შ.პ.ს. „ძველი გალავანი”)

2008 – ივ. ჯავახიშვილის სახ. უივერსიტეტის I კორპუსის არქიტექტურული ანაზომი. (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კონპანია”)

2008 – ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა, დედაღვთისას არქეოლოგიური ანაზომი. (შ.პ.ს. „ძველი გალავანი”).

2009 – ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა, დედაღვთისას რესტავრაციის პროექტი. (შ.პ.ს. „ძველი გალავანი”)

2009 – ქ. ქუთაისი, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები. (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კონპანია”)

2010 – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაკვეთით, მესტიის რაიონის ცენტრალურ მოედანზე განთავსებული სახლების აზომვითი სამუშაოები

2011 – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაკვეთით, ბეთლემის ქ. №4 ; №6; №15 ; №17 ; №18 სახლების აზომვითი სამუშაოები.

2012– საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, ლავით გაერჯის ლავრის გრაფიკული დამუშავება. (შ.პ.ს. „ N3DScanStudio”)

კომპიუტერი: **AutoCAD**

CV

სახელი, გვარი:	თამარ ითაშვილი
დაბადების თარიღი:	1980წელი, 18 აგვისტო
დაბადების ადგილი:	საქართველო, ქ. თბილისი
მისამართი:	ისნის რაიონი, მე–3 მელაანის შეს. № 58 ტელ: 278 83 11. მობ: 555 197078
განათლება:	1986-1997წწ. ქ. თბილისი 87- საშუალო სკოლა. 1997-2003წწ. ქ.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი, მხატვარ-არქიტექტორის სპეციალობით.
ენები:	ქართული, რუსული, ინგლისური.
კომპიუტერი:	**AutoCAD**, **Photoshop, Word.**

კვალიფიკაცია:

2011 წ. - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი – ტრენინგი "პროექტის მენეჯმენტი"

პროფესიული გამოცდილება:

2005წ. – ქ.თბილისის ლესელიძის ქ. №36-ში მდებარე შენობის (ყოფილი ქარვასლა) არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი.

2005წ. – ქ.თბილისის ავლევის ქ. № 19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი.

2006წ. – ქ. ფოთის საკათედრო ტაძრის საპროექტო სამუშაოები.

2006წ. – დუშეთის რაიონის სოფ. ახატანის იოანე ნათლისმცემლის

სახელობის ეკლესია XIII–XIV სს. საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები.

2006წ. - ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფასადის არქიტექტურულ - -არქეოლოგიური ანაზომი.

2006წ. – წალკა, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია X ს. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო–სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის თანავტორი.

2006წ. – ატენის წმინდა გიორგის ეკლესია XI ს. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის თანავტორი.

2006წ. – სხალტბის კვირაცხოვლის ეკლესია XVII ს. არქიტექტურულ- -არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის თანავტორი.

2006წ. – ქ.თბილისის ლესელიძის ქ. №36-ში მდებარე შენობის (ყოფილი ქარვასლა) რესტავრაციის პროექტი. პროექტის თანაავტორი.

2007წ. – სასტუმრო ვეცელი არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის თანავტორი.

2007წ. – ბოლნისის სიონი V ს. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, VIII ს-ის საძვალე სამლოცველოს რესტავრაციის პროექტი. პროექტის ავტორი..

2007წ. – აკაურთას ეკლესია Vს. დროებითი გადახურვის პროექტი. პროექტის ავტორი.

2007წ. – ზემო ნიჩბისის ეკლესია XVII–XVIII სს. არქიტექტურულ- -არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის ავტორი.

2007წ. – ახატანის მცირე ეკლესია XVII–XVIII სს. . არქიტექტურულ- -არქეოლოგიური ანაზომი, საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები. პროექტის ავტორი.

2007წ. – წინამძღვრიშვილის №39 საცხოვრებელი სახლის კარის და აივნის

რესტავრაციის პროექტი.

2008წ. – სასხორის ღვთისმშობლის ეკლესია. (მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი). Xს.

2008წ. – იოანე მახარებლის სახ. ეკლესია. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი XVIIIს.

2008წ. – ნაბახტევის ღვთისმსშობლის სახ. ეკლესია რესტავრაციის პროექტი პროექტის ავტორი.

2008წ. – ბზიანის კომპლექსი. რესტავრაციის პროექტი. პროექტის ავტორი.

2008წ. – გელათის წმ ნიკოლოზის და სამრეკლოს რესტავრაციის პროექტი.

2010წ - ალექსეევკას (დრიანეთის) წმ. ივლიტას და კვირიკეს ეკლესია

2010წ - გამოჩინებულის წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლო

2011წ - ხირსის მონასტრის ტერიტორიაზე მდებარე სახლის რესტავრაციის პროექტი